განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
კესო ბოყოველი
წევრ(ებ)ი:
მარიკა კირვალიძე

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	205089526

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა N156
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://buckswood.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@buckswood.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577 992 993

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	*„შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 მაისის MES 1 26 0000590356 ბრძანება*
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	*2026 წლის 29 მაისი*

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შევიდა წერილი, რომელსაც თან ერთვოდა განცხადება შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისში (შემდგომში - სკოლა/დაწესებულება) მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. განმცხადებელს წარმოადგენენ, ამავე სკოლის XI კლასის მოსწავლის ა.კ.-ს მშობლის მინდობილი პირები. განმცხადებლებს წარმოდგენილი აქვთ მინდობილობაც.

წარმოდგენილი განცხადების თანახმად, მოსწავლე არის 16 წლის და სწავლობდა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მე-11 კლასში. იგი სკოლის მოსწავლე იყო მე-3 კლასიდან. მოსწავლის გარიცხვის შესახებ სკოლის აკადემიური დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის #24-25/365 ბრძანების თანახმად, ა.კ. 2025 წლის 25 დეკემბრიდან გაირიცხა სკოლიდან. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო სკოლის დისციპლინური კომიტეტის 2025 წლის 22 დეკემბრის #25-26/02 სხდომის ოქმი. სხდომის ოქმის დღის წესრიგის თანახმად, კომიტეტის შეკრების მიზეზი იყო XI კლასის მოსწავლის - ა.კ.-ს მიერ სკოლის შინაგანაწესისა და უსაფრთხოების წესის სისტემური დარღვევის ფაქტები და მათზე შესაბამისი დისციპლინური რეაგირების საკითხის განხილვა.
დისციპლიურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ მოსწავლემ სხვადასხვა პერიოდში ჩაიდინა შემდეგი გადაცდომები:

1. *ფიზიკური დაპირისპირება სხვა მოსწავლესთან, რაც გამოიხატა ძალადობრივ ქმედებაში და შედეგად საჭირო გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სამართალდამცავი ორგანოების ჩართვა;*
2. *სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთების მოხმარებისა და ქონის ფაქტები, მათ შორის, ელექტრონული სიგარეტის (ვეიპის) სავარაუდო მოხმარება სკოლის საპირფარეშოებში, რაც დასტურდება სკოლის თანამშრომლების მიერ;*
3. *უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისას სანთებელის აღმოჩენა, რომელიც წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესით აკრძალულ, ადვილად აალებად ნივთს.*

დისციპლინურმა კომიტეტმა დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია:

- *დისციპლინური დარღვევების განმეორებითი და სისტემური ხასიათი;*
- *მოსწავლის მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევა;*

- *ქცევის ცვლილების არარსებობა გამოყენებული საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებების შემდეგ;*
- *სკოლის ავტორიტეტის, დისციპლინისა და უსაფრთხო გარემოს დაზიანების რეალური რისკი.*

ოქმში, დასკვნითი დებულების სახით მითითებულია რომ გადაწყვეტილება მიღებულია დისციპლინური კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის შიდა ნორმატიული აქტებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და მიზნად ისახავს სკოლის უსაფრთხო, დისციპლინური და ჯანსაღი სასწავლო გარემოს დაცვას.
განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტების შეკრება და მათ საფუძველზე მოსწავლისათვის ყველაზე მკაცრი სახდელის - სკოლიდან გარიცხვის დაკისრება ეწინააღმდეგება, როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ასევე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად, მოსწავლეს უკანონოდ დაეკისრა ზემოხსენებული სახდელი.

თითოეულ გარემოებასთან დაკავშირებით განცხადებაში დეტალურად არის განხილული მოსწავლის მშობლის წარმომადგენლების პოზიცია. კერძოდ:

სხდომის ოქმის დღის წესრიგის პირველი პუნქტით გათვალიწინებულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატები განმარტავენ რომ კომიტეტის სხდომაზე, არ იქნა წარდგენილი, დასახელებულ ფაქტთან დაკავშირებით გამოკვლეული და შეფასებული არც ერთი მტკიცებულება და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე არც ერთი გარემოება. ოქმში არ არის დაფიქსირებული მხარეთა პოზიციები. საკითხი შემოიფარგლა, მხოლოდ დღის წესრიგში ფაქტის მითითებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ სკოლის დისციპლინური კომიტეტის 2025 წლის 22 დეკემბრის ოქმში მითითებული სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი, არ განხილულა დისციპლინური გადაცდომის ფაქტის განხილვისათვის კანონმდებლობით დადგენილი სამართლიანი და ჯეროვანი პროცედურებით. ამასთან, განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ როდესაც აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა (2026 წლის სექტემბერი), სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება დასახელებულ საკითხზე არ ჩაეტარებინა სკოლის ფარგლებში დისციპლინური წარმოება, ვინაიდან საქმის მსვლელობაში ჩაერთნენ სკოლის გარე შესაბამისი უწყებები.

მათ ხაზი გაუსვევს, რომ სკოლის შინაგანაწესი არ განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე დისციპლინური წარმოების დაწყების ვადებს, რაც არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრულ რეგულაციებს.
განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ დისციპლინური წარმოება უნდა დაიწყოს გადაცდომის ფაქტის გამოვლენიდან გონივრულ ვადაში. მათი აზრით, თუ არსებობდა კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საჭიროება, აღნიშნული სკოლას უნდა განეხორციელებინა დაუყოვნებლივ, გადაცდომის ფაქტის გამოვლენისთანავე, კერძოდ, 2025-2026 სასწავლი წლის პირველი სემესტრის დაწყებისთანავე. მათი აზრით, სასწავლო წლის ბოლოს აღნიშნული საკითხის განხილვის რეალური მიზანი არის საკითხის გამოყენება დასაკისრებელი დისციპლინური სახდელის დასამძიმებლად.

2) დღის წესრიგის მეორე საკითხად მითითებულია სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთების მოხმარებისა და ქონის ფაქტები, მათ შორის, ელექტრონული სიგარეტის (ვეიპის) სავარაუდო მოხმარება სკოლის საპირფარეშოებში, რაც დასტურდება სკოლის თანამშრომლების მიერ.

ადვოკატების განმარტებით, კომიტეტის სხდომაზე არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად ადასტურებს მოსწავლის მიერ 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ფარგლებში კონკრეტულ დროს და ადგილას ვეიპის გამოყენების ფაქტს ან ფაქტებს. მათი განცხადებით, მოსწავლემ დისციპლინური კომიტეტის 2025 წლის 22 დეკემბრის სხდომის ფარგლებში უარყო მიმდინარე სასწავლო წელს მის მიერ სკოლაში ე.წ „ვეიპის“ გამოყენების ფაქტი.
მოსწავლის აკადემიურ და დისციპლინურ ანგარიშში, მითითებულია, რომ მოსწავლე რამდენჯერმე შემჩნეულ იქნა ე.წ. „ვეიპის“ სასკოლო საპირფარეშოში მოხმარების ფაქტზე. სხვადასხვა თანამშრომლის მხრიდან არაერთგზის აღინიშნა, რომ მოსწავლის მიერ საპირფარეშოში სივრცის დატოვების შემდეგ, მკვეთრად აღინიშნებოდა „ვეიპის“ სუნი.
მოსაწავლის მშობლებს სკოლის მიერ გაეგზავნათ დასახელებულ პერიოდში გაკეთებული ვიდეოჩანაწერები, რომლებშიც ასახულია ა.კ.-ს და სხვა მოსწავლეების საპირფარეშოში შესვლის და მათ მიერ საპირფარეშოს დატოვების კადრები, რაც ადვოკატების განცხადებით არანაირ მტკიცებულებას არ წარმოადგენს ა.კ.-ს მიერ „ვეიპის“ მოხმარების ფაქტის დასადასტურებლად.
განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსწავლის მიერ ე.წ. „ვეიპის“ გამოყენების ერთადერთი ფაქტი დგინდება 2024 წელს, მოსწავლემ სხდომაზე განაცხადა, რომ აღიარებდა ჩადენილ გადაცდომას და ნანობდა აღნიშნულ საქციელს. ამასთან, პირობას დებდა, რომ ასეთი ფაქტი აღარ განმეორდებოდა. ხდომის მიმდინარეობის დროს სკოლის მოსწავლეთა გარკვეულმა რაოდენობამ მიმართა კომიტეტს სხდომაზე დასწრებისა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების თხოვნით, მათ მხარდაჭერა გამოხატეს და გამოთქვეს მზაობა პასუხისმგებლობის გაზიარებისა მოსწავლესთან ერთად მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. დისციპლინურმა კომიტეტმა, 2024 წელს, ერთხმად/ხმათა უმრავლეობით მიიღო გადაწყვეტილება მოსწავლისთვის მხოლოდ ზეპირი გაფრთხილების მიცემის თაობაზე.

ადვიკატების განმარტებით, 2024-2025 სასწავლო წლის დადასტურებული გადაცდომა, 2025-2026 სასწავლო წელს უნდა ჩაითვალოს გაქარწყლებულად და თუნდაც ჩაედინა მოსწავლეს მიმდინარე სასწავლო წელს იგივე ქმედება, რაზეც გასულ წელს მან მიიღო გაფრთხილება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს განმეორებით ჩადენილ გადაცდომად. მათ, ასევე, განმარტეს, რომ სკოლის შინაგანაწესი არ ითვალისწინებს დისციპლინური კომიტეტის მიერ მოსწავლისათვის ზეპირი გაფრთხილების მიცემის შესაძლებლობას, შესაბამისად, სკოლამ რომც არ ჩათვალოს სახდელის მოქმედების ვადა გაქარწყლებულად, აღნიშნული გაფრთხილება არ აქვს მოსწავლეს გამოცხადებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და დასახელებულ სახდელს აქცევს ბათილად.

3) დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმის დღის წესრიგში მესამე საკითხად მითითებულია მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისას სანთებელის აღმოჩენა, რომელიც წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესით აკრძალულ, ადვილად აალებად ნივთს.

2025 წლის 01 დეკემბერს სკოლის მიერ ჩატარდა მოსწავლეების, მათ შორის, ალექსანდრე კუპრაშვილის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება, რის თაობაზეც შედგენილ იქნა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების #01 ოქმი. სკოლის განმარტებით არსებობდა გონივრული ეჭვი ელექტრონული სიგარეტის (ვეიპის) შესაძლო ფლობასთან ან მოხამრებასთან დაკავშირებით, დათვალიერების მიზანი იყო აკრძალული ნივთების გამოვლენა და საგანმანათლებლო სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ადვოკატები აღნიშნავენ, რომ ***უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ჩატარდა სკოლის შინაგანაწესისა და უსაფრთხოების წესების, ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მინიმალური ჩარევის პრინციპით. დათვალიერება განხორციელდა უკონტაქტოდ.*** *უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების თაობაზე სკოლამ განახორციელა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან შეტყობინება. აღნიშნული დათვალიერების შედეგად მოსწავლეს აღმოაჩნდა სანთებელა.*

ადვოკატები მიუთითებენ, რომ ეს არის ერთადერთი გარემოება, როდესაც დადასტურდა მოსწავლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი.

მათი განმარტებით სკოლის შინაგანაწესის 24.2.9 პუნქტის გამოყენება - სკოლიდან ხანგრძლივად დათხოვნა ან გარიცხვა (ამ პუნქტის ამოქმედება და დისციპლინური კომიტეტის წინაშე დაყენება, სკოლის დირექციას შეუძლია მას შემდეგ, რაც მოსწავლე არაერთგზის, უხეშად არღვევს ამ კონსტიტუციის/შინაგანაწესის სხვადასხვა მუხლს და ამოწურულია სანქციების ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი ფორმა, ან მაშინ, როდესაც მოსწავლის მიერ ჩადენილი დარღვევა არის განსაკუთრებულად უხეში და გათვალისწინებულია ამავე კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-10 პუნქტით, 31-ე მუხლის 31.10 პუნქტით ან/და 22.10 პუნქტით).
ადვოკატების განმარტებით, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სადაო შემთხვევაში სანთებელა ექცევა სკოლის შინაგანაწესის 22.10 პუნქტით აკრძალული ნივთების ჩამონათვალში, თუმცა, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მოსწავლის მიერ განსაკუთრებულად უხეში დარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც კუმულაციური პირობაა 22.10 პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღებისათვის.

განმცხადებლების თქმით, დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა იმის თაობაზე, რომ 2025 წლის 22 დეკემბრის სხდომა იყო მესამე სხდომა მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით და ოქმში დეტალურად არის მითითებული წარსულში მომხდარი ფაქტების შესახებ ინფორმაცია. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეს წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით სახდელები უკვე ჰქონდა დაკისრებული, კერძოდ, ერთ-ერთ საკითხზე ა.კ.-ს დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელის სახით სკოლიდან დათხოვნა, მეორე საკითხზე მოსწავლეს გამოეცხადა

ზეპირი გაფრთხილება, ხოლო მესამე ფაქტთან დაკავშირებით (ე.წ. „სნუსის“ მოხმარება) საერთოდ არ იყვნენ მშობლები ინფორმირებულები;

განცხადების ავტორები აპელირებენ, რომ სკოლის შინაგანაწესით არ არის განსაზღვრული მოსწავლისათვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების ვადა და დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნის შესაძლებლობა, ამდენად, შინაგანაწესი არ ითვალისწინებს დისციპლინური წარმოების ჯეროვან, სამართლიან და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულ პროცედურებს. ასევე, აღნიშნავენ, რომ შინაგანაწესის თანახმად სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრის უფლებამოსილება გრძელდება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში. მათი განმარტებით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და თავად სკოლის დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილების ვადის გათვალისწინებით, არ შეიძლება მოსწავლისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის მოქმედება აღემატებოდეს ერთ სასწავლო წელს. განცხადების ავტორები აღნიშნავენ, რომ ა.კ.-ს მიმართ 2023-2024 და 2024-2025 სასწავლო წლებში გამოყენებული დისციპლინური სახდელების მოქმედების ვადა 2025-2026 სასწავლო წლისათვის მიჩნეული უნდა იქნეს გაქარწყლებულად (მათი თქმით, ამავდროულად ბათილია ის სახდელები, რომლებიც სკოლას არ აქვს დაკისრებული შინაგანაწესის დაცვით). მოსწავლის და მისი მშობლის წარმომადგენლები განცხადებაში ხაზს უსვამენ წინა წლებში ჩატარებული მოკვლევების ხარვეზებსაც.

ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით განმცხადებლების მიერ წარმოდგენილია მშობელთან წარმოებული კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტები. აღნიშნული მასალები წარმოადგინა თავად სკოლამაც. მშობელსა და სკოლის წარმომადგენელს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების შედეგად იკვეთება სკოლის მხრიდან მშობელთან კომუნიკაციის ისეთი ფორმა, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ზემოქმედება მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანის საკითხზე.
ასევე, მოსწავლის მშობელი და მისი წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ დისციპლინური კომიტეტის მიერ მისაღები გადაწყვეტილება სკოლისთვის ცნობილი იყო დისციპლინური კომიტეტის სხდომის გამართვამდე და აღნიშნული გამოიყენებოდა მოსწავლესა და მის მშობლებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის და მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის ინსტრუმენტად. აღნიშნული არ დაადასტურა დისციპლინურმა კომიტეტმა და სკოლის წარმომადგენელმა. მათი განმარტებით დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე კენჭისყრა არის ფარული, ხოლო მშობელთან კომუნიკაციისას სკოლის წარმომადგენლის მხრიდან გაჟღერებული იქნა ყველა მოსალოდნელი სახდელი, რათა ისინი მზად ყოფილიყვნენ ნებისმიერი შედეგისათვის რომელიც შეიძლებოდა დამდგარიყო დისციპლინური კომიტეტის სხდომის დასრულებისას.

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლის ჰაუსმასტერის შეფასება დინამიკაში არის დადებითი და მოსწავლეს ეხმარებოდა წინა წლებში განხორციელებული ინტერვენცია, თუმცა მიმდინარე წელს არანაირი ღონისძიება არ ჩატარებულა, მათ შროის თამბაქოს მოხმარებასთან და ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით.

საჩივარში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1230	781

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტების შესახებ. ასევე, სკოლის განმარტება დისციპლინური კომიტეტის ოქმში შინაგანაწესის 23.1. პუნქტის მითითებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ინდიკატორებთან 4.1.1.1 და 4.1.1.2 მიმართებით ექსპერტთა შეფასება არ შეცვლილა და დარჩა უცვლელი.

ვიზიტის აღწერილობა

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისში განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- *შემოწმდა მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტები და დოკუმენტაციაში*

ასახული, ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების შესრულება;

- *მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;*

ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა სკოლის დოკუმენტაცია, დღის წესრიგისა და მონიტორინგის ბრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხების გამორკვევის მიზნით განხორციელდა ინტერვიუები. განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, შემოწმდა კონკრეტული ინდიკატორებით განსაზღვრული მოთხოვნების სკოლის მხრიდან შესრულება.

დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიდგენთ განცხადებაში დაფიქსირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს გასაუბრებების შედეგად დადგენილ გარემოებებს და მათ შეფასებას.

გასაუბრებები ჩატარდა სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით პირისპირ, ჰიბრიდულ და დისტანციურ რეჟიმში. გასაუბრებები მოიცავდა სხვადასხვა მხარის პოზიციის მოსმენას მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის საკითხთან დაკავშირებით. გასაუბრებები გაიმართა სკოლის ადმინისტრაციასთან (აკადემიურ დირექტორთან, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერთან, სასკოლო ცხოვრების ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელებთან), მოსწავლის ჰაუსმასტერთან, დისციპლინური კომიტეტის წევრებთან, მოსწავლეებთან, კონკრეტული მოსწავლის მშობლებთან და ადვოკატებთან და სხვა მშობლებთან.

- ***აკადემიურ დირექტორთან, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერთან, სასკოლო ცხოვრების ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელებთან და მოსწავლის ჰაუსმასტერთან გასაუბრების აღწერა:***

1. სკოლის გარემო და სისტემა

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში წლებია შექმნილია კარგად აწყობილი სისტემა, რომელშიც სკოლის მხრიდან მიზანმიმართულად მიმდინარეობს მოსწავლეთა სოციალური ინტეგრაციისა და ურთიერთობების გაძლიერების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობა. აღნიშნული აქტივობების განხორციელებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჰაუსური სისტემა, გაკვეთილების შემდგომი (prep) პროგრამა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეებს შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და სასკოლო საზოგადოების ერთიანობის ხელშეწყობას.

2. მოსწავლის ქცევითი ისტორია

რესპონდენტების თქმით, მოსწავლეს ჰქონდა განმეორებითი ქცევითი სირთულეები. კერძოდ, სკოლის წარმომადგენლებმა გაიხსენეს მეცხრე კლასში დაფიქსირებული მძიმე ბულინგის შემთხვევა, ასევე, არაერთი შემთხვევა ვეიპის და სნუსის მოხმარებასთან დაკავშირებით, მათ შორის იმ პერიოდში, როდესაც მოსწავლეს ჰქონდა დადებული პირობა მსგავსი ქცევის შეწყვეტის შესახებ.
რესპონდენტების განმარტებით, გადაწყვეტილება, მოსწავლის სკოლიდან გარიცხვასთან დაკავშირებით, მიღებულია შეკრებითობის პრინციპით, რომლის მიხედვითაც შეფასდა როგორც კონკრეტული ინციდენტები, ისე მოსწავლის ქცევითი ისტორია. ასევე გაანალიზდა კონკრეტული მოსწავლის ქცევა სკოლაში დისციპლინური წესრიგის დაცვასთან მიმართებით.

3. კონკრეტული ინციდენტები

2025 წლის დეკემბერი - დისციპლინური კომიტეტის სხდომა: სხდომაზე მოსწავლესთან მიმართებით განიხილეს შემდეგი საკითხები: ფიზიკური დაპირისპირება სხვა მოსწავლესთან; სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთების მოხმარებისა და

ქონის ფაქტები, მათ შორის ელექტრო სიგარეტის (ვეიპის) სავარაუდო მოხმარება სკოლის საპირფარეშოებში, რაც დასტურდება სკოლის თანამშრომლის მიერ; ასევე - უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისას სანთებელის აღმოჩენა, რომელიც სკოლის შინაგანაწესით იკრძალება და არის ადვილად აალებადი ნივთი.
2025 წლის დეკემბრის დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე განხილული ერთ-ერთი შემთხვევა უკავშირდებოდა 2025 წლის სექტემბერში მოსწავლეებს შორის (მერვე კლასის მოსწავლესა და ა.კ.-ს) სკოლაში მომხდარ ფიზიკური დაპირისპირების ეპიზოდს. ინციდენტის დაფიქსირებისთანავე სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი რეაგირება - ინფორმაცია მიაწოდოა ა.კ.-ს მშობლებს (მშობლები დაუყონებლივ გამოცხადნენ სკოლაში), გამოიძახებულ იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამართალდამცავი ორგანოები. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიცია, რომელმაც ფაქტის შესწავლა და შემდგომი რეაგირება საკუთარ კომპეტენციად განიხილა. შესაბამისად, სამართალდარღვევის გარემოებების გამოკვლევა განხორციელდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ და სექტემბერში სკოლის მხრიდან აღარ მომხდარა დამატებითი მოკვლევა.

4. მხარდამჭერი ინტერვენციული და პრევენციული აქტივობები

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისში არსებობს ჰაუსური სისტემა, რომელიც არის ბრიტანული ტრადიციის მიხედვით მოწყობილი სასკოლო სისტემა, სადაც ყველა მოსწავლე ერთ-ერთ ,,ჰაუსში'' (სახლში/გუნდში) არის გაწევრიანებული. ბაქსვუდში ჰაუსური ცხოვრება სკოლის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია და ხშირად ,, მეორე ოჯახად'' აღიქმება მოსწავლეების მიერ, რადგან ისინი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში თავიანთი ჰაუსის წევრებთან ერთად მონაწილეობენ მრავალ აქტივობაში და საერთო წარმატებისთვის იბრძვიან. ***ჰაუსმასტერი კი*** *არის თანამშრომელი, რომელიც კონკრეტულ ჰაუსს ხელმძღვანელობს. ის ერთგვარი ,,კურატორი'' ან ,, მენტორია'' ჰაუსისთვის და პასუხისმგებელია მის წევრებზე, აქტივობებსა და საერთო შედეგებზე. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლე, რომელიც გარიცხული იქნა სკოლიდან იყო Wells (უელსის) ჰაუსის წევრი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უელსის ჰაუსის ჰაუსმასტერს.*

ჰაუსმასტერის თქმით, ა.კ.-სთან მიმართებით არაერთხელ განხორციელდა მხარდამჭერი და განვითარებაზე ორიენტირებული ინტერვენციები, მათ შორის ინდივიდუალური მუშაობა და სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა მისი ძლიერი მხარეების გამოვლენასა და ქცევითი/აკადემიური განვითარების ხელშეწყობას. მათი თქმით, მოსწავლის მიმართ გამოიყენებოდა წახალისების პრაქტიკა და გარკვეულ ეტაპებზე აღინიშნებოდა პროგრესი. ჰაუსმასტერმა აღნიშნა, რომ მოსწავლესთან მუშაობდა როგორც ჰაუსის სხვა წევრებთან ერთად, ისე საჭიროებისამებრ ინდივიდუალურად.
წახალისების მიზნით მოსწავლე დაინიშნა "ჯუნიორ პრეფექტის" პოზიციაზე, რაც სკოლის მხრიდან პოზიტიური ქცევის აღიარებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მექანიზმად განიხილებოდა.

მისი განცხადებით, ა.კ.-სთან, ყოფაქცევის კორექციის მიზნით განხორციელდა არაერთი აქტივობა, ასევე, მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებოდა მოსწავლის მშობელთან. ჰაუსმასტერმა წარმოადგინა უელსის ჰაუსის სამუშაო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. გარდა აღნიშნულისა, მან წარმოადგინა თავისი, როგორც ჰაუსმასტერის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით შეხვედრები განხორციელებულია ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორებიცაა: პიროვნული განვითარება - ძალადობა და ბულინგი, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, კომუნიკაციის მართვა, „ჩვენ უკვე დიდები ვართ"; გარემოსდაცვითი კულტურა და ჯანსაღი ცხოვრების წესი - ფიზიკური ჯანმრთელობის ძირითადი პრინციპები; სპორტი - ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი, მავნე ჩვევები, თამბაქოს, ნიკოტინის და ალკოჰოლის გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე და სხვა. ჰაუსმასტერმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ გაკვეთილების შემდგომი (prep) პროგრამის ფარგლებში სწორედ მისი გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე მიმდინარეობდა მსჯელობა, ასევე, ხშირად ესაუბრებოდა მოსწავლეს ინდივიდუალურადაც. აღნიშნული დაადასტურა სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელმაც. მან განმარტა, რომ როგორც ამ თანამდებობაზე დასაქმებული პირი და მანამდე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მუდმივ შემხებლობაში იყო მოსწავლესთან. მისი თქმით, ჰაუსმასტერთან ერთად ყოველთვის ცდილობდა მოსწავლის დისციპლინური ქცევის კორექციას, კომუნიკაციაში იმყოფებოდა მშობელთან და სკოლი დირექციასთან.

გარდა ამისა, სკოლის აკადემიურმა დირექტორა დაამატა, რომ მოსწავლე წახალისების მიზნით გადაყვანილი იყო A Level-ის პროგრამაზე, როგორც მისთვის დამატებითი განვითარების შესაძლებლობა და აკადემიური წინსვლის მხარდამჭერი ნაბიჯი.
თუმცა, რესპონდენტების შეფასებით, აღნიშნული მხარდაჭერისა და პერიოდულად მცირედი პროგრესის მიუხედავად, მოსწავლის ქცევითი სირთულეები გამწვავდა. მათი თქმით, აღნიშნული მდგომარეობა გარკვეულ გავლენას ახდენდა სასკოლო გარემოზე და ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სხვა მოსწავლეებისთვისაც არასასურველი მაგალითი ყოფილიყო.

5. გადაწყვეტილება და დასაბუთება

რესპონდენტების განმარტებით, აღნიშნული გარემოებების ერთობლიობამ და დისციპლინური საკითხების განმეორებითმა ხასიათმა განაპირობა გადაწყვეტილება მოსწავლის გარიცხვის შესახებ, სკოლის მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. 2025 წლის დეკემბერში ჩატარებულ დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოსწავლე გაირიცხა სკოლიდან. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფარული კენჭისყრით.
რესპონდენტების თქმით, მოსწავლის გარიცხვის გადაწყვეტილება არ ყოფილა მარტივი და იგი მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც სკოლისთვის ხელმისაწვდომი ყველა მხარდამჭერი ღონისძიება ამოიწურა.
ექსპერტების შეკითხვაზე, დისციპლინურ კომიტეტამდე სკოლას ჰქონდა თუ არა კომუნიკაცია მშობლებთან სხვა სკოლაში გადაყვანის შესახებ, დირექტორმა და სხვა რესპონდენტებმა უარყოფითი პასუხი გასცეს. თუმცა, მათი განმარტებით, მოსწავლის

მშობლისთვის სრულად იყო ახსნილი დისციპლინური პროცედურების შესაძლო შედეგები, მათ შორის ისიც, რომ პროცესის დასასრულს შეიძლებოდა მიღებულიყო სხვადასხვა სახის გადაწყვეტილება.

6. ***მშობლებთან კომუნიკაცია***

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მშობლებთან მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია მოსწავლის ქცევებთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლა ინარჩუნებდა აქტიურ კომუნიკაციას დედასთან. მათი ინფორმაციით, დედის თხოვნით, ძირითადი კომუნიკაცია მიმდინარეობდა სწორედ მასთან.

აღნიშნული არ დაადასტურეს მოსწავლის მშობლებმა და აღნიშნეს რომ ორივე მათგანს თანაბრად ჰქონდა კონტაქტი სკოლასთან და მათი მხრიდან ამგვარ თხოვნას ადგილი არ ჰქონია. მშობლების განცხადებით მათთან ძირითადად კომუნიკაცია მიმდინარეობდა მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე.

მშობლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეს დისციპლინური კომიტეტის ოქმში აღწერილ საკითხებთან დაკავშირებით სახდელები უკვე ჰქონდა დაკისრებული, კერძოდ, ერთ-ერთ საკითხზე ა.კ.-ს დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელის სახით სკოლიდან დათხოვნა, მეორე საკითხზე მოსწავლეს გამოეცხადა ზეპირი გაფრთხილება, ხოლო მესამე ფაქტთან დაკავშირებით (ე.წ. „სნუსის“ მოხმარება) მშობლების თქმით, ისინი საერთოდ არ იყვნენ ინფორმირებულები.

- ***მოსწავლეებთან გასაუბრების აღწერა***

საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრების ფარგლებში, რესპონდენტებმა აღწერეს სკოლის გარემო და სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი.
მათი თქმით, სკოლაში არის ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ თავისუფლად მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას და სხვა თანამშრომლებს. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ მარტივად შედიან კომუნიკაციაში აკადემიურ დირექტორთან, ჰაუსმასტერთან, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელთან და საჭიროებისამებრ ყველა საჭირო პირთან.
მოსწავლეებმა ასევე მიუთითეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სკოლის ფსიქოლოგს (გულისხმობენ ინკლუზიური განათლების კოორდინატორს) და იღებენ შესაბამის მხარდაჭერას.
მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ თავადაც აქტიურად ერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში, გამოხატავენ ინიციატივებს და მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობაში. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მოსწონთ ჰაუსური სისტემა, რადგან იგი აძლიერებს მოსწავლეებს შორის ურთიერთობას, თანამშრომლობას და საერთო სასკოლო ცხოვრებისადმი მიკუთვნებულობის განცდას.
დისციპლინასთან დაკავშირებით მოსწავლეებმა განმარტეს, რომ, როგორც წესი, საკითხები განიხილება კომუნიკაციის გზით და მოსწავლეებს ესაუბრებიან ქცევით გამოწვეული შესაძლო სირთულეების შესახებ. მოსწავლეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ

ყველა საკითხის განხილვისა და გარკვევისას, უსმენენ ყველა მხარეს, რაც ობიექტური და გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა.
მათი თქმით, დისციპლინური ზომები გამოიყენება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს უფრო სერიოზულ შემთხვევებს. ყველაზე მკაცრ ზომად მათ დაასახელეს მოსწავლის გარიცხვა. გაიხსენეს რომ ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა. ერთ-ერთმა მოსწავლემ გაიხსენა ინციდენტის დეტალები, მისი თქმით, მერვე კლასის მოსწავლემ გამოიწვია მეთერთმეტე კლასის მოსწავლე. ინციდენტი კი დასრულდა იმით, რომ მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ფიზიკურად გაუსწორდა მერვე კლასის მოსწავლეს.

რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ დისციპლინური კომიტეტის შეკრება და შესაბამისი რეაგირება ხდება ისეთ ქცევებზე, როგორიცაა სკოლაში სიგარეტის (ე.წ. ვეიპის და სნუსის) მოხმარება, და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ზომა, მათ შორის მოსწავლის ჩართვა სკოლის სივრცის მოწესრიგებაში, თუმცა აღნიშნეს, რომ ეს პრაქტიკა ისე ხორციელდება რომ მათთვის არ არის შეურაცხმყოფელი, პირიქით სახალისოცაა.
ზოგადად, მოსწავლეებმა აღწერეს სასკოლო ცხოვრება და ურთიერთობები სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან როგორც პოზიტიური, თანამშრომლობასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული.

- ***მოსწავლის მშობლებთან და ადვოკატებთან გასაუბრების აღწერა***

მშობლებთან ჩატარებულ ინტერვიუს ესწრებოდნენ მოსწავლის დედა და მამა, ასევე ორი ადვოკატი, რომლებიც ჩართულები არიან აღნიშნული ქეისის სამართლებრივ ნაწილში.
მშობლების განმარტებით, მოსწავლეს მნიშვნელოვანი ქცევითი პრობლემები არ ჰქონია და მისი სკოლაში სწავლის პერიოდი ძირითადად პოზიტიურად ფასდებოდა. მათი თქმით, მოსწავლეს ჰქონდა სკოლასთან ემოციური კავშირი, ხოლო ძირითადი სირთულეები უკავშირდებოდა აკადემიურ მიმართულებას. ამასთან, მშობლები აღნიშნავენ, რომ გარკვეულ ეტაპზე შეინიშნებოდა აკადემიური პროგრესიც.
მათ შორის აღინიშნა, რომ სკოლამ მოსწავლის განვითარების მხარდასაჭერად განახორციელა გარკვეული აკადემიური ინტერვენციები, მათ შორის A Level-ის პროგრამაზე გადაყვანა, რაც მშობლების შეფასებით პოზიტიურ ნაბიჯად განიხილებოდა.
მშობლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათი შეფასებით გამოყენებული სანქცია - გარიცხვა - არ იყო თანაზომადი მოსწავლის ქცევასთან. მათი აზრით, გარიცხვის გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდა მხოლოდ ინდივიდუალური მოსწავლის ქცევით შემთხვევებს და მათ შთაბეჭდილებას უტოვებდა, რომ გადაწყვეტილება ნაწილობრივ ემსახურებოდა სხვა მოსწავლეებისთვის პრევენციული მაგალითის შექმნას, არ გამოეყენებინათ სკოლაში ელექტრო სიგარეტი.
მშობლების თქმით, მოსწავლე სკოლიდან გაირიცხა შუა სემესტრში, რაც მათთვის მოულოდნელი და პროცედურულად პრობლემურიც იყო. მათი განმარტებით, სკოლიდან გადაყვანის საკითხთან დაკავშირებით შეიქმნა ტექნიკური/ადმინისტრაციული სირთულეები.
მშობლები ასევე აღნიშნავენ, რომ დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა ჰქონდათ და დაესწრნენ კიდეც, თუმცა მათი შეფასებით, გადაწყვეტილების ძირითადი მიმართულება მათთვის უკვე წინასწარ იყო ცნობილი. მათი

თქმით, დისციპლინური კომიტეტის სხდომამდე მათსა და სკოლას შორის კომუნიკაციის პროცესში მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა, რომ სკოლაში უკვე არსებობდა მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია მოსწავლის შესაძლო გარიცხვის შესახებ. მაგალითად, მათი განმარტებით, გაკეთდა კომენტარი, რომ ,, დისციპლინური კომიტეტის წევრებს უკვე ისეთი განწყობა აქვთ, რომ თუ მოსწავლე არ გადავა სხვა სკოლაში, მოხდება მისი გარიცხვა''.

მშობლები, ასევე, კრიტიკულად იყვნენ განწყობილი სექტემბრის ინციდენტის დეკემბრის სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებით. მათი განმარტებით აკადემიურ დირექტორთან კომუნიკაციისას, მან დაადასტურა რომ ამ შემთხვევას არანაირი გაგრძელება არ მოჰყვებოდა. გარდა ამისა, ისინი ხაზს უსვამენ გარემოებას, რომ მათი შვილი გამოიწვია მერვე კლასელმა მოსწავლემ და მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა.

მშობლების შეფასებით, აღნიშნული გარემოებები აჩენს ეჭვს გადაწყვეტილების პროცესის სრულად ღია და მიუკერძოებელ ხასიათთან დაკავშირებით. ისინი ასევე მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილება მიღებულია შეკრებითობის პრინციპით.

მშობლების ძირითადი პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლის გარიცხვა არ იყო შესაბამისი და პროპორციული ღონისძიება არსებული გარემოებების გათვალისწინებით და რომ პროცესში სკოლას უფრო მეტი აქცენტი უნდა გაეკეთებინა მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებზე.

- ***სხვა მშობლებთან გასაუბრების აღწერა***

მშობლებთან ჩატარებული გასაუბრების ფარგლებში რესპონდენტებმა დადებითად შეაფასეს სკოლაში არსებული გარემო და სასკოლო პროცესები.

მათი თქმით, სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოს მოსწავლეებისთვის. მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლასთან კომუნიკაცია არის ხელმისაწვდომი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციასთან დაკავშირება და საკითხების განხილვა. მშობლებმა ხაზგასმით აღნიშნეს ჰაუსმასტერების როლი მოსწავლეებთან ურთიერთობაში, მათ შორის მოსწავლეთა ადაპტირების ხელშეწყობაში.

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს სკოლის მიერ გაწეულ მხარდაჭერას მოსწავლეთა როგორც აკადემიური, ისე პიროვნული განვითარების მიმართულებით. მათ მოიყვანეს მაგალითები, როდესაც სკოლამ ხელი შეუწყო მოსწავლეების აკადემიურ წინსვლას დამატებითი მხარდაჭერის, ინდივიდუალური მიდგომისა და სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართულობის გზით. ასევე აღნიშნეს, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას სხვადასხვა სასკოლო ინიციატივებისა და აქტივობების მეშვეობით.

მშობლებმა დადებითად შეაფასეს სკოლის შიდა მხარდაჭერის სერვისებიც, მათ შორის ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მექანიზმები, როგორც მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული პრაქტიკა.

დისციპლინასთან დაკავშირებით მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში სრულად უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა და კომუნიკაციის გზით ხდება საკითხების მოგვარება. მათ ასევე აღნიშნეს, რომ არ ახსენდებათ დისციპლინის სერიოზული

დარღვევების შემთხვევები. მცირე დარღვევები არის და ამ მხრივ ჰაუსური წესები ეხმარებათ წესრიგის დაცვაში, ახსენეს პლიუს და მინუს ქულები და აღნიშნეს, რომ ეს ქულები არ აისახება მოსწავლეთა აკადემიურ შეფასებაზე.
ზოგადად, რესპონდენტებმა სკოლა დაახასიათეს როგორც უსაფრთხო, ორგანიზებული და მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული გარემო.

- ***დისციპლინურ კომიტეტთან შეხვედრის აღწერა***

დისციპლინური კომიტეტის წევრებთან ჩატარებული გასაუბრების ფარგლებში დეტალურად განიხილებოდა მოსწავლის გარიცხვის საკითხი, დისციპლინური გადაწყვეტილების მიღების პროცესი და სკოლის შიდა პროცედურები.

გადაწყვეტილების პრინციპი და საფუძველი

კომიტეტის წევრებმა დაადასტურეს, რომ გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრით მიიღეს.
კომიტეტის წევრების განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელეს მოსწავლის ქცევითი ისტორიითა და სხვადასხვა ინციდენტების ერთობლივი შეფასებით. გათვალისწინებული იყო როგორც კონკრეტული შემთხვევები, ისე მოსწავლის წარსული ქცევითი გამოცდილება და სკოლის წესების დარღვევის საკითხი.
რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეს ჰქონდა განმეორებითი ქცევითი სირთულეები, მათ შორის წარსულში დაფიქსირებული ბულინგის შემთხვევა და სხვადასხვა ეპიზოდი, რომლებიც დაკავშირებული იყო აკრძალული ნივთების გამოყენებასთან - მათ შორის იმ პერიოდშიც, როდესაც მოსწავლეს ჰქონდა მიღებული შესაბამისი გაფრთხილება და ვალდებულება ქცევის შეცვლის შესახებ. კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ ა.კ.-ს მიერ ვეიპის გამოყენება დადასტურებულია. ისინი ფაქტის დადასტურებისას დაეყრდნენ სკოლის თანამშრომელთა უშუალო დაკვირვებას და არაერთი მოწმის ჩვენებას, წარსულში იგივე ფაქტის დაფიქსირებას და გარემოებათა ერთობლიობას - მოსწავლეს აღმოაჩნდა სანთებელა.
დისციპლინურმა კომიტეტმა წარმოადგინა აღნიშნულ შემთხვევაზე დისციპლინური მოკვლევის ანგარიში, თუმცა არ წარმოუდგენია მოწმეების ჩვენებები.

ინციდენტები და განხორციელებული რეაგირება

ექსპერტებმა ასევე დაუსვეს შეკითხვა დისციპლინური კომიტეტის წევრებს სკოლის მხრიდან დისციპლინური მოკვლევის დაწყების დაგვიანებასთან დაკავშირებით - კერძოდ, რატომ იქნა განხილული სექტემბრის ინციდენტი დეკემბრის სხდომაზე.
კომიტეტის წევრებმა განმარტეს, რომ სკოლამ ინციდენტზე დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება, თუმცა სკოლის შიდა დისციპლინური განხილვა გადაიდო, ვინაიდან საპატრულო პოლიციამ სკოლას აცნობა, რომ გარემოებების გამოკვლევას თავად განახორციელებდა. შესაბამისად, სკოლა ელოდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან პროცესის დასრულებას.

ექსპერტების შეკითხვაზე, თუ რატომ არ დაიწყეს დისციპლინური მოკვლევა მერვე კლასის მოსწავლის მიმართაც, კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, რომ მერვე კლასის მოსწავლის შემთხვევაში საქმე ეხებოდა ერთ დარღვევას, ხოლო ა.კ.-ს შემთხვევაში - განმეორებით ქცევით სირთულეებს, რაც განაპირობებდა განსხვავებულ მიდგომას.

მხარდამჭერი ინტერვენციები

მათი განმარტებით, სკოლის მხრიდან მოსწავლის მიმართ არაერთხელ განხორციელდა მხარდამჭერი ღონისძიებები და ინტერვენციები, მათ შორის ინდივიდუალური მუშაობა, წახალისების მექანიზმები და სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა მისი ქცევითი და აკადემიური განვითარების ხელშეწყობას.

დისციპლინური ზომების ტიპოლოგია - განხილვა და შეფასება

კითხვაზე, წინა წლებში რატომ იყო მოსწავლის მიმართ გამოყენებული ერთდროულად რამდენიმე ზომა, კომიტეტის წევრებმა განმარტეს, რომ სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის ღონისძიება: ერთი წარმოადგენს დისციპლინურ სახდელს, ხოლო მეორე - უფრო საგანმანათლებლო ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესში გაჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას. მაგალითად, დისციპლინურ ზომად განიხილება სკოლიდან დროებითი დათხოვნა, ხოლო საგანმანათლებლო ღონისძიებად - ჰაუსური მინუს ქულის დაფიქსირება;

დისციპლინური სახდელების ამგვარი კლასიფიკაცია სკოლის შინაგანაწესში მოცემული არ არის. ექსპერტების შეფასებით, ფაქტობრივად სკოლაში გამოყენებული ორივე ზომა - დროებითი დათხოვნა სკოლიდან და ჰაუსური მინუს ქულის დაფიქსირება - დასχაზეა ორიენტირებული, რაც ეწინააღმდეგება კომიტეტის მიერ წარმოდგენილ განმარტებას ორი განსხვავებული ტიპის ღონისძიების შესახებ.

ასევე, დისციპლინურ კომიტეტს ექსპერტებმა ჰკითხეს რამდენად თანაზომიერი იყო მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და მათ მიერ მირებული გადაწყვეტილება. *რესპონდენტების თქმით, დისციპლინურმა კომიტეტმა საკითხის განხილვა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც დარწმუნდა, რომ ყველა შესაძლო მხარდამჭერი მექანიზმი ამოწურული იყო. ამასთან, განიხილებოდა მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანის შესაძლებლობაც, იმ მოსაზრებით, რომ ახალ გარემოში შესაძლოა უკეთ წარმოჩენილიყო მისი შესაძლებლობები და ქცევითი თუ აკადემიური სირთულეები განსხვავებულად განვითარებულიყო.*

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N4.1.1.1.	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა*	*სკოლის შიდა რეგულაციებით არ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.* *(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა)*
ინდიკატორი N4.1.1.2.	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან*	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.3. პროცესების მართვა
3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა საჩივრების განხილვის შიდა რეგულაციები, სკოლაში მოქმედი საჩივრების განხილვის სისტემის კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმების შესწავლის მიზნით. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა. დოკუმენტის შესწავლით დადგინდა, რომ იგი არეგულირებს განცხადების/საჩივრის სკოლაში წარდგენის, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ზოგად პროცედურებს ასევე, განცხადების/საჩივრის რეგისტრაციის პროცედურას, ხარვეზის დადგენის ვადებს.
დოკუმენტის თანახმად, საჩივარს განიხილავს უფლებამოსილი პირი/სტრუქტურული ერთეული/კომისია, რომლის კომპეტენციის ფარგლებსაც განეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა ან საჭიროების შემთხვევაში აკადემიური დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) განსაზღვრული კომისია.
მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს, მათ აღნიშნეს, რომ ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებით მიმართავენ პირდაპირ აკადემიურ დირექტორს, რომელიც ირებს ყველა საჭირო ზომას და დაუყოვნებლივ რეაგირებს ყველა საჭიროებაზე.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს საჩივრების განხილვის სისტემა;
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლეთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი (ბაქსვუდის კონსტიტუცია), სასკოლო სასწავლო გეგმა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, უსაფრთხოების წესები, მედიაციის წესი და სხვა.
სკოლაში ბავშვის უფლებრივი მდგომარეობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მკაფიო, ხელმისაწვდომი და მოქმედია შიდა პროცედურები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციებში მოსწავლის ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. სასწავლო გარემოში ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის რეალური დაცვა დამოკიდებულია არა მხოლოდ დეკლარირებულ პრინციპებზე, არამედ იმაზე, თუ პრაქტიკაში რამდენად ეფექტურად გამოყენებადია ის შიდა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტულ, პრობლემურ თუ კრიზისულ სიტუაციებში მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გატარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ორი შინაგანაწესი, ერთი რომელიც მოქმედებდა პირველი სემესტრის განმავლობაში, როდესაც მოხდა მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, და მეორე შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია მეორე სემესტრის დაწყებამდე.

სკოლის შინაგანაწესის 23-ე მუხლის თანახმად დისციპლინური კომიტეტი სკოლის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც განიხილავს მოსწავლეთა მიერ ან მათი მონაწილეობით გამოვლენილ დისციპლინარულ დარღვევებს და ადგენს შესაბამის სანქციებს. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დისციპლინური კომიტეტის მუშაობის შიდა მარეგულირებელი მექანიზმი, თუმცა, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით შინაგანაწესი აწესრიგებდა დისციპლინური კომიტეტის მუშაობის საკითხებს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, შინაგანაწესის 23.2. პუნქტის თანახმად შედიან: სკოლის აკადემიური დირექტორი, სასკოლო ცხოვრებისა და დისციპლინის ხელმძღვანელი, დაწყებითი განათლების კოორდინატორი, სკოლის მთავარი მოსწავლე (HEAD OF SCHOOL), ჰაუსმასტერი, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერი, სკოლის აკადემიური დეპარტამენტების ხელმძღვანელები და ადმინისტრაციის ერთი თანამშრომელი, რომელიც შეირჩევა აკადემიური დირექტორის მიერ სასაწავლო წლის დასაწყისში და რომელიც ასევე ითავსებს სხდომის მდივნის ფუნქციას. წევრის უფლებამოსილება გრძელდება ერთი კალენდარული წლის განმავლობში (სასწავლო წლის დასაწყისიდან მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე), თუ ის ვადამდე არ შეწყდა რაიმე გარდაუვალი მიზეზით (ხანგრძლივი ავადმყოფობა, სკოლიდან წასვლა, ა.შ.) ან სკოლის აკადემიური დირექტორის გადაწყვეტილებით.
აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობა შეირჩევა სასწავლო წლის დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის შემადგენლობა ძირითადად განსაზღვრულია თანამდებობრივი პოზიციებით, ექსპერტებმა სკოლის დირექციის წარმომადგენლებს სთხოვეს გაეზიარებინათ დოკუმენტი დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტებისა და შემადგენლობის შესახებ. თუმცა სკოლის მიერ აღნიშნული წარმოდგენილი არ ყოფილა. კომიტეტის შემადგენლობის დაზუსტება მნიშვნელოვანია, ვინაიდან შინაგანაწესის თანახმად, ადმინისტრაციის თანამშრომლის შერჩევა ხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური დირექტორის მიერ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო იმის გამორკვევა, ხომ არ იყო რომელიმე წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეწყვეტილი.

დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე პირველი საკითხი შეეხებოდა სექტემბერში, კერძოდ 19 სექტემბერს მომხდარ დაპირისპირებას ა.კ.-სა და მერვე კლასის მოსწავლეს შორის. ვინაიდან, შემთხვევის დროს დაზიანდა მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გამოძახებული იქნა სასწრაფო დახმარება და შესაბამისი ორგანოები, აღნიშნული საკითხის მოგვარებაში სკოლა აღარ ჩარეულა. მოსწავლის მშობლების თქმით, დაპირირსპირება გამოწვეული იყო არა მათი შვილის, არამედ მერვე კლასელის მიერ. აღნიშნული ფაქტი, როგორც სკოლაში მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შემთხვევა გაიხსენეს მოსწავლეებმაც გასაუბრების ეტაპზე. მათ ხაზი გაუსვევს, რომ მერვე კლასელის მხრიდან მოხდა მეორე მოსწავლის გამოწვევა რადგან ესაუბრებოდა არაეთიკურად,

განმცხადებლები და მოსწავლის მშობლები მიუთითებენ, რომ ეს საკითხი დეკემბერში არ უნდა განხილულიყო დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე, ვინაიდან საკითხი იყო უკვე დახურული. სკოლის ძველი შინაგანაწესი, რომლითაც ხელმძღვანელობდა სკოლა მოსწავლის გარიცხვის ეტაპზე, არ ითვალისწინებდა დისციპლინური წარმოების ვადებს, შესაბამისად, ბუნდოვანია რამდენად სამართლიანად და კანონიერად მოახდინა სკოლამ სექტემბერში დამდგარი ფაქტის

დეკემბრის სხდომაზე განხილვა. საყურადღებოა ისიც, რომ მომხდარი ფაქტი სკოლის წარმომადგენლებისათვის მოგვიანებით არ გამხდარა ცნობილი, პირიქით, მომხდარის შესახებ იმ დღესვე გაიგო სკოლის დირექციამ და სწორედ მათ მოახდინეს პირველივე რეაგირება. აქედან გამომდინარე, გადაცდომის შინაარსი და პირების ვინაობა სკოლისათვის თავიდანვე იქნა გამორკვეული. ლოგიკურია, რომ საჭიროების შემთხვევაში, სკოლას რეაგირება უნდა განეხორციელებინა დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში.

სკოლის ამჟამინდელი რეგულაციით, მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ შეიძლება გადაცდომის ჩადენის დღიდან 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ. ამ რეგულაციის თანახმადა, თუ გადაცდომა ჩადენილი იყო 2026 წლის 19 სექტემბერს, ხოლო დისციპლინური კომიტეტის სხდომა ჩატარებულია 2026 წლის 22 დეკემბერს, მაშინ დარღვეულია დისციპლინური წარმოების ვადა. სკოლის წარმომადგენლება განმარტეს, რომ საკითხის კვლევა დაიწყო ბევრად ადრე, თუმცა ელოდებოდნენ სამართალდამცავი ორგანოების და მშობლების გადაწყვეტილებას, ვინაიდან მათი ინფორმაციით მშობლები ფიქრობდნენ მოსწავლის სკოლიდან გადაყვანას. სკოლას არ წარმოუდგენია მოკვლევის დაწყების ან მოკვლევის პროცესში მოპოვებული მასალები მტკიცებულებების სახით.

ვინაიდან მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის ეტაპზე მოქმედი იყო სკოლის ძველი შინაგანაწეი, ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო იმ პერიოდისათვის მოქმედ რეგულაციებს. კერძოდ, დისციპლინური წარმოების დაწყების კონკრეტული ვადის არარსებობა ზიანს აყენებს მოსწავლის სამართლებრივ უსაფრთხოებას, რეგულაციის გამჭვირვალობას და სამართლიანი პროცედურის უფლებებს. როდესაც შინაგანაწესი არ განსაზღვრავს, რა ვადაში უნდა დაიწყოს დისციპლინური წარმოება მას შემდეგ, რაც სკოლისთვის ცნობილი გახდა შესაძლო დარღვევის შესახებ, მოსწავლე რჩება გაურკვეველ მდგომარეობაში და ვერ აფასებს, როდის შეიძლება ჩაითვალოს საკითხი საბოლოოდ ამოწურულად. ასეთი რეგულირების არარსებობა ქმნის რისკს, რომ სკოლამ საკუთარი შეხედულებისამებრ, ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგაც დაიწყოს წარმოება. სასიხარულოა ის გარემოება, რომ ახალი რედაქციის შესაბამისად, ნათელია დისციპლინური მოკვლევის დაწყების ვადა. თუმცა, წარსულში განხორციელებული დისციპლინური წარმოება და იმ პერიოდში მოქმედი შინაგანაწესი წარმოადგენს დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას და ვერ იქნება შეფასებული ახალი შინაგანაწესით გათვალისწინებული რეგულაციების ჭრილში.

ექსპერტთა ჯგუფმა, სკოლის დისციპლინურ კომიტეტს გასაუბრების ეტაპზე ჰკითხა, თუ რატომ არ მოხდა მერვე კლასელ მოსწავლესთან მიმართებით წარმოების დაწყება, ვინაიდან იკვეთებოდა, რომ სწორედ მან გამოიწვია მე-11 კლასელი მოსწავლე. კომიტეტის წევრებმა განმარტეს, რომ მერვე კლასის მოსწავლის შემთხვევაში საქმე ეხებოდა ერთ დარღვევას, ხოლო ა.კ.-ს შემთხვევაში - განმეორებით ქცევით სირთულეებს.

ექსპერტები, ასევე, დაინტერესდნენ ბავშვების მედიაციის პროცესით. სკოლამ წარმოადგინა მედიაციის მარეგულირებელი მექანიზმი, რომლის თანახმადაც მედიატორის როლს ასრულებს კლასის კოორდინატორი/ჰაუსმასტერი, ხოლო მედიაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

➢ საერთო შეხვედრის გამართვა და მედიატორის მიერ კონფლიქტური სიტუაციის მოკლე აღწერა;
➢ დისკუსია;
➢ ინდივიდუალური გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში);
➢ მედიაციის დასკვნითი ეტაპი.

შეკითხვაზე თუ რა პროცედურები განხორციელდა მოსწავლეთა მედიაციისთვის, სკოლის წარმომადგენლებმა, ჰაუსმასტერმა და სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელმა განმარტეს, რომ მე-8 კლასელი მოსწავლე მიღებული დაზიანების გამო, რამდენიმე დღე არ იმყოფებოდა სკოლაში. ხოლო შემდგომ შედგა ინდივიდუალური გასაუბრებები მოსწავლეებთან. ასევე, ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლეები დისტანციას იცავდნენ ერთმანეთისგან, აღარ შედიოდნენ ერთმანეთთან კომუნიკაციაში და არანაირი დაპირისპირება აღარ მომხდარა.

მეორე საკითხის - ვეიპის მოხმარებასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური მოკვლევის ანგარიში. ანგარიშის თანახმად, ა.კ.-ს მიერ ვეიპის მოხმარების ფაქტი დასტურდება შემდეგით:

- სკოლის თანამშრომელთა უშუალო დაკვირვება და არაერთი მოწმის ჩვენება;
- წარსულში მსგავსი ფაქტის შენიშვნა/დაფიქსირება;
- 2025–2026 სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა თანამშრომლის მხრიდან არაერთგზის აღინიშნა, რომ ა.კ.-ს მიერ საპირფარეშო სივრცის დატოვების შემდეგ, მკვეთრად აღინიშნებოდა „ვეიპის“ სუნი.

სწორედ აღნიშნული გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ მოსწავლე ჩაუტარდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება.

ანგარიშში, ასევე, აღნიშნულია 2024 წლის 11 ნოემბრის შემთხვევა, როდესაც ქართულის მასწავლებელმა დააფიქსირა ა.კ.-ს მიერ „სნუსის“ გამოყენების ფაქტი.

კვლევაში ჩანს, რომ სკოლამ დაუყოვნებლივ შეატყობინა მომხდარის შესახებ მოსწავლის დედას, თუმცა მშობელი ამ ფაქტს უარყოფს და აღნიშნავს, რომ მისთვის „სნუსის“ მოხმარების ეპიზოდი არის უცნობი. სკოლის მიერ გაზიარებულ კვლევის ანგარიშში, ასევე, იკითხება, რომ მოსწავლის დედამ, მამის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, თავად ითხოვა, რომ სკოლას კომუნიკაცია განეხორციელებინა მხოლოდ მასთან და აღნიშნული ინფორმაცია არ გაზიარებულიყო მამისთვის. სკოლის განმარტებით, სწორედ ამ მიზეზით, ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით, სკოლამ იმოქმედა კეთილსინდისიერად და ჰუმანური მიდგომით. სკოლამ არ გამოიყენა მაქსიმალური

სანქცია; არ გაამწვავა მდგომარეობა და არ მიმართა საჯარო დისციპლინურ რეაგირებას. ფაქტი, რომ დედამ ითხოვა მხოლოდ მასთან კომუნიკაცია არ დაადასტურა მშობელმა. გასაუბრების ეტაპზე ორივე მშობელმა აღნიშნა, რომ ისინი თანაბრად არიან პროცესებში ჩართულები.
აღნიშნული კვლევის გარდა სკოლის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არცერთი იმ თანამშრომლის წერილობითი განმარტება ან რაიმე სახის მიმართვა სკოლის დირექციასთან, რომლებმაც დააკავშირეს მოსწავლის საპირფარეშოდან გამოსვლა მის მიერ ვეიპის მოხმარების ფაქტთან.

სკოლის წარმომადგენლება გამოთქვეს ვარაუდი, რომ შესაძლებელი იყო მოსწავლის რთული ქცევა გამოწვეული ყოფილიყო ერთ-ერთი მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტები დაინტერესდნენ მოსწავლისათვის შეთავაზებული იყო თუ არა სკოლის მხრიდან ფსიქოლოგის მომსახურება. სკოლა თანამშრომლობს შპს თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრთან. სკოლამ ექსპერტებს წარუდგინა ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მოსწავლის ფსიქოლოგთან და/ან სხვა სპეციალისტთან გადამისამართების გზამკვლევი. აღნიშნული გზამკვლევის თანახმად, განსაზღვრულია ოსწავლის ფსიქოლოგთან და/ან სხვა სპეციალისტთან გეგმიური გადამისამართების კრიტერიუმები. თუმცა, სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში არსებული აღნიშნული მექანიზმისთვის ა.კ.-ს შემთხვევაში არ მიუმართავთ.

სკოლის ძველი შინაგანაწესის თანახმად, განსაზღვრული არ იყო სახდელის მოქმედების ვადაც. აღნიშნული განსაზღვრული არ არის არც ახალი შინაგანაწესით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმით, რომლის საფუძველზეც განხორციელდა მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, დამამძიმებელ გარემოებებად მიჩნეულია:

- დისციპლინური დარღვევების განმეორებითი და სისტემური ხასიათი;
- მოსწავლის მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევა;
- ქცევის ცვლილების არარსებობა გამოყენებული საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებების შემდეგ;
- სკოლის ავტორიტეტის, დისციპლინისა და უსაფრთხო გარემოს დაზიანების რეალური რისკი.

აღნიშნული ჩანაწერით, რაც კომიტეტის წევრებმა გასაუბრების ეტაპზეც დაადასტურეს, მათ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინეს წინა წლების (2023-2024, 2024-2025 სასწავლო წლებში) გამოცდილებაც.

შინაგანაწესით სახდელის მოქმედების ვადის განსაზღვრა არსებითად მნიშვნელოვანია როგორც პროცესების გამჭვირვალობის ისე სამართლიანი დისციპლინური წარმოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. როდესაც დოკუმენტი მკაფიოდ ადგენს, რამდენ ხანს ინარჩუნებს ძალას დაკისრებული სახდელი, მოსწავლემ წინასწარ იცის, რა დროის განმავლობაში ექნება მას სამართლებრივი შედეგი და როდის ჩაითვლება მისი დისციპლინური პასუხისმგებლობა ამოწურულად.

ამასთან, მოქმედების ვადის არარსებობა ქმნის რისკს, რომ სახდელს ექნება ფაქტობრივად განუსაზღვრელი ან ზედმეტად ხანგრძლივი ეფექტი, რაც შეიძლება გადაიზარდოს მოსწავლის უფლებების არაპროპორციულ ჩარევაში. გარდა ამისა, მკაფიო ვადის არსებობა მნიშვნელოვანია თანასწორობისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფადაც. მისი არარსებობის პირობებში იზრდება სუბიექტური ინტერპრეტაციისა და არათანმიმდევრული გადაწყვეტილებების რისკი, რაც არღვევს სამართლიანი ადმინისტრირების პრინციპს. შესაბამისად, შინაგანაწესით სახდელის მოქმედების ვადის განსაზღვრა წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც იცავს როგორც მოსწავლის უფლებებს, ისე სკოლის დისციპლინური სისტემის სტაბილურობასა და სამართლიანობას. ამასთან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით. შესაბამისად, სკოლამ თავად უნდა უზრუნველყოს ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურის განსაზღვრა.

დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმში, ნორმატიული აქტების დარღვევის ნაწილში კომიტეტს გამოყოფილი აქვს სკოლის შინაგანაწესის 31.10 პუნქტი, რომლის თანახმადაც სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი ადვილად აალებადი, საშიში ან უსაფრთხოებასთან შეუთავსებელი ნივთის ქონა. კომიტეტის განმარტებით სანთებელის ქონა წარმოადგენს აღნიშნული მუხლის უხეშ დარღვევას. ასევე, კომიტეტს მითითებული აქვს შინაგანაწესის 23.1. პუნქტი, რომლის მიხედვითაც დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია მოსწავლის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის სიმძიმის, განმეორებადობისა და შედეგების გათვალისწინებით განსაზღვროს შესაბამისი სანქცია, მათ შორის სწავლების შეწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ 23.1. პუნქტი არც ძველ და არც ახალ შინაგანაწესში არ შეიცავს წინამდებარე ჩანაწერს.

სკოლის შინაგანაწესის 24.2 პუნქტის თანახმად, ბაქსვუდში მოქმედი დისციპლინარული სანქციების ფორმებია:

- წარმატების პასპორტში ჩანაწერის გაკეთება და მინუს ქულის მინიჭება;
- სკოლის სერვისებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა (მაგალითად, ე.წ. 3 საათიანი ტრანსპორტით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა);
- დამატებითი აკადემიური, არააკადემიური ან სკოლისათვის სასარგებლო სამუშაო (მაგალითად, რიგგარეშე გამოკითხვა/გამოცდა, დამატებითი საგნობრივი დავალება, სკოლის ტერიტორიის ან შენობის კონკრეტული ნაწილის დასუფთავება, თოვლის გაწმენდა, ადმინისტრაციის დახმარება და ა.შ.);
- ზარალის ანაზღაურება (მაგალითად, მშობლის მხრიდან მოსწავლის მიერ დაზიანებული ნივთის საფასურის გადახდა);
- აკრძალული ნივთების ჩამორთმევა (უბრუნდება აუცილებლად მშობელს პირადად);
- წერილობითი საყვედურის გამოცხადება (იგზავნება დირექტორის მიერ მშობლის სახელზე);
- მშობლის დაბარება (პირადი გასაუბრება, დეტალური ინფორმირება და გაფრთხილების მიცემა შესაძლო გართულებების შესახებ);

- სკოლიდან დროებით დათხოვნა;
- სკოლიდან ხანგრძლივად დათხოვნა ან გარიცხვა (ამ პუნქტის ამოქმედება და დისციპლინური კომიტეტის წინაშე დაყენება, სკოლის დირექციას შეუძლია მას შემდეგ, რაც მოსწავლე არაერთგზის, უხეშად არღვევს ამ კონსტიტუციის/შინაგანაწესის სხვადასხვა მუხლს და ამოწურულია სანქციების ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი ფორმა, ან მაშინ, როდესაც მოსწავლის მიერ ჩადენილი დარღვევა არის განსაკუთრებულად უხეში და გათვალისწინებულია ამავე კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-10 პუნქტით, 31-ე მუხლის 31.10 პუნქტით ან/და 22.10 პუნქტით).

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული არ არის რომელი გადაცდომისთვის, რომელი სახდელი გამოიყენება. სკოლამ წარმოადგინა მინუს ქულების მინიჭების სისტემა, რომელშიც ნათლადაა გაწერილი თუ რა პრინციპით ხდება ქულების დაგროვება ან ჩამოკლება, თუმცა სხვა სახდელებთან მიმართებით არ არის ამგვარი იდენტიფიცირება გაკეთებული.

სკოლის შინაგანაწესში სხვადასხვა სახის სახდელების არსებობა თავისთავად ქმნის დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის ფორმალურ ჩარჩოს, თუმცა მისი ეფექტიანობა მნიშვნელოვნად მცირდება მაშინ, როდესაც არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რომელი ტიპის გადაცდომას რომელი კონკრეტულ სახდელი შეესაბამება. ასეთ დროს იქმნება რისკი ერთგვაროვან ქმედებებზე განსხვავებული სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, როდესაც არ არსებობს სახდელებისა და გადაცდომების შესაბამისობის მკაფიო მატრიცა, იზრდება გადაწყვეტილების მიღების სუბიექტურობის ხარისხიც.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების ეტაპზე დადგინდა, რომ ზოგიერთი სახდელის გამოყენების უფლება აქვთ თავად მასწავლებლებსა და თანამშრომლებს, მაგ.: ჰაუსური მინუს ქულების მინიჭება. შინაგანაწესის 24.1. პუნქტის თანახმად, მოსწავლის მხრიდან სკოლის კონსტიტუციით განსაზღვრული კოდექსის თითოეული პუნქტის დარღვევა იწვევს გარკვეულ სანქციას დირექციის მხრიდან. სანქციების ფორმას და მიზანშეწონილობას განსაზღვრავს სკოლის დირექცია. ხოლო, მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის ან ხანგრძლივად (5 დღეზე მეტი ვადით) დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ექსკლუზიური უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტს. შინაგანაწესის ჩანაწერისა და გასაუბრების ეტაპზე მიღებული ინფორმაცია შეუსაბამოა ერთმანეთთან. შინაგანაწესით არ არის წინასწარ რეგულირებული მასწავლებლების მიერ სახდელის დაკისრების პროცედურა და მექანიზმი, მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით არ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ 4.1.1.1 ინდიკატორის აღწერილობიდან გამომდინარე დადგინდა, რომ სკოლაში არსებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე.

უფლებების რეალიზაციისა და პრაქტიკაში ეფექტიანი რეაგირების ერთ-ერთი უმთავრესი სამართლებრივი მექანიზმი **სკოლის შინაგანაწესი და დისციპლინური წარმოების წესია**. გამჭვირვალობის ნაკლებობა ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს. როდესაც არ არის ერთიანი და საჯაროდ გასაგები პროცედურები, უფლებების დაცვა შესაძლოა დამოკიდებული გახდეს კონკრეტული პირების ინდივიდუალურ შეხედულებებზე, რაც არღვევს თანასწორი მოპყრობის პრინციპს და ასუსტებს ნდობას სკოლის ადმინისტრაციული სისტემის მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე.

<u>**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**</u>

სკოლის არგუმენტირებული პოზიციის შეფასება 4.1.1.1 და 4.1.1.2 ინდიკატორებთან მიმართებით:

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 სექტემბრის № 24-25/17-01 ბრძანება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებდა კომიტეტის შემადგენლობას თანამდებობრივი პოზიციების შესაბამისად, შინაგანაწესის მიხედვით ადმინისტრაციის თანამშრომლის შერჩევა ხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური დირექტორის მიერ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო იმის გამორკვევა, ხომ არ იყო რომელიმე წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეწყვეტილი. ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო სკოლის მიერ მიწოდებულ ბრძანებას და სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია დისციპლინური კომიტეტის ლეგიტიმურობასა და მის შემადგენლობასთან დაკავშირებით.

ფიზიკური დაპირისპირების ფაქტთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით და მიუთითა, რომ მოქმედებდა კანონმდებლობის სრული დაცვით. კერძოდ, ფიზიკური დაპირისპირების დაფიქსირებისთანავე, სკოლამ მყისიერად მიაწოდა ინფორმაცია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს („112“).

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფს სადავოდ არ გაუხდია სკოლის მხრიდან რეაგირების სისწრაფე და კომპეტენტური ორგანოების დროული ინფორმირების ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის კვლევის საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, დაიწყო და დასრულდა თუ არა დისციპლინური წარმოება გონივრულ ვადებში. შეფასების საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ ინციდენტი მოხდა 2025 წლის 19 სექტემბერს, ხოლო დისციპლინური კომიტეტის სხდომა აღნიშნულ საკითხზე გაიმართა 2025 წლის 22 დეკემბერს, 3 თვის შემდეგ. სკოლის მხრიდან აღნიშნულ პერიოდში დისციპლინური კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი.ასევე, სკოლის შინაგანაწესი არ ითვალისწინებს დისციპლინური წარმოების ვადებს.

სკოლის არგუმენტირებული პოზიციის თანახმდა, „მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ ჩაერთნენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, განხორციელდა შესაბამისი ორგანოების რეაგირება, არასრულწლოვანი გადაყვანილ იქნა სამართალდამცავი ორგანოს მიერ და დაიწყო მათი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნულ ვითარებაში სკოლა ვალდებული იყო ემოქმედა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, პატივი ეცა სხვა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციისთვის და თავი აერიდებინა ისეთი მოქმედებებისგან, რომლებიც შესაძლოა აღქმულიყო მიმდინარე პროცესში ჩარევად ან ხელი შეეშალა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი დადგენისთვის.“

მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს სკოლის ამ არგუმენტაციას. მათი პოზიციით, სკოლის მიერ დისციპლინური წარმოების დროული დაწყება-დასრულება და შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება ვერ ჩაითვლებოდა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში ჩარევად და ვერც ფაქტობრივი გარემოებების დადგენას შეუშლიდა ხელს. ექსპერტთა განმარტებით, სამართალდამცავი ორგანოები წარმოადგენენ დამოუკიდებელ სახელმწიფო სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ავტონომიურად ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას და მათი ფუნქციები გამიჯნულია სკოლის შიდაორგანიზაციული, დისციპლინური პროცესებისგან.

სკოლის არგუმენტირებული პოზიციით მითითებას აკეთებს ახალი შინაგანაწესის ჩანაწერზე, მათი განცხადებით აღნიშნული ვერ იქნება გამოყენებული წარსულში განხორციელებული ქმედებების კანონიერება/უკანონობის დასადგენად. ***ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტში მკაფიოდ აღნიშნა, რომ „ვინაიდან მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის ეტაპზე მოქმედი იყო სკოლის ძველი შინაგანაწესი, ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო იმ პერიოდისათვის მოქმედ რეგულაციებს.“ შესაბამისად, ახალი შინაგანაწესის რეგულაცია ექსპერტთა მხრიდან, შეფასების ნაწილში, გავრცელებული არ ყოფილა მის ამოქმედებამდე მომხდარ ფაქტზე.***

სკოლა ასევე, მიუთითებს, რომ მოქმედი შინაგანაწესი არც დისციპლინური მოკვლევის დაწყების კონკრეტულ ფორმას და არც მისი დაწყების ვადას არ განსაზღვრავდა. შესაბამისად, მხოლოდ იმ გარემოებიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ წარედგინა

მოკვლევის დაწყების შესახებ ცალკე დოკუმენტი ან მაგ: თანამშრომელთა წერილობითი მოხსენებითი ბარათები, ვერ გამომდინარეობს დასკვნა, რომ სკოლამ დაარღვია რაიმე სამართლებრივი ვალდებულება ან მოქმედი რეგულაცია.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ ნაწილში არ იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ სწორედ ზემოხსენებული საკითხი არის სადაო გარემოება ვინაიდან არ არის უზრუნველყოფილი რეგულაციების გამჭვირვალობა და სიცხადე. იმ პირობებში, როდესაც სკოლის შინაგანაწესი არ ითვალისწინებს დისციპლინური წარმოების სრულყოფილ, პროგნოზირებად მექანიზმს, ჩნდება გადაწყვეტილების სუბიექტურად მიღებისა და თვითნებობის მაღალი რისკები, რაც პირდაპირ ლახავს მოსწავლის უფლებების ეფექტური დაცვის გარანტიებს.

გარდა ამისა, არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, 2025 წლის 22 დეკემბერი არ წარმოადგენს დისციპლინური წარმოების დაწყების თარიღს.სკოლის განცხადებით აღნიშნული თარიღი არის იმ ეტაპის დასრულება, როდესაც უკვე დასრულებული მოკვლევის, მოპოვებული მტკიცებულებების, მშობლებთან განხორციელებული კომუნიკაციისა და საქმის სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე, სკოლამ მიიღო შესაბამისი დისციპლინური გადაწყვეტილება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მსჯელობა, რომლის მიხედვითაც დისციპლინური წარმოება მხოლოდ 22 დეკემბერს დაიწყო, არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და ეფუძნება პროცესის არასწორ ინტერპრეტაციას.
უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ რაც მოხდა მომხდარის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინება, სკოლას არ წარმოუდგენია დისციპლინური მოკვლევის განხორციელების რაიმე სახის მტკიცებულება. სკოლის პოზიციის თანახმად, მათ მიერ მოხდა ინფორმაციის შეგროვება, თანამშრომელთა გამოკითხვა, ვიდეოჩანაწერების შესწავლა, აგრეთვე მოსწავლის მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია და კონსულტაციები. სრულყოფილი მოკვლევის უზრუნველსაყოფად აღნიშნულ პროცესში ჩართული უნდა ყოფილიყო ინციდენტის ორივე მხარე (ყველა დაინტერესებული პირი). სკოლის წარმომადგენლებს ექსპერტთა მხრიდან ეთხოვათ სწორედ ამ მოკვლევის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების წარდეგნა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს არანაირი სახის დოკუმენტაცია ამ მიმართულებით არ მიუღია. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მხრიდან ვერ დასტურდება დისციპლინური გადაცდომის მოკვლევის პროცესი.

სკოლის არგუმენტირებული პოზიციის თანახმად 2025 წლის სექტემბერში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით სკოლას არც ერთი მოსწავლის მიმართ არ დაუწყია დამოუკიდებელი დისციპლინური წარმოება. აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ინციდენტისთანავე საქმეში ჩაერთნენ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოები და სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რის შემდეგაც ფაქტობრივი გარემოებების მოკვლევა გადავიდა მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანი და გაურკვეველია, თუ რომელ ფაქტობრივ აღწერილობას უნდა დაეყრდნოს, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიციები ურთიერთგამომრიცხავია. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სკოლა მიუთითებდა, რომ

მოსწავლე ა.კ.-სთან მიმართებით საკითხის მოკვლევა დაუყოვნებლივ დაიწყო, დირექციამ გამოითხოვა და შეისწავლა ვიდეოჩანაწერები, გამოკითხა თანამშრომლები და სხვა, მეორე შემთხვევაში კი, დაწესებულება აცხადებს, რომ დამოუკიდებელი დისციპლინური წარმოება საერთოდ არ დაწყებულა კონფლიქტში მონაწილე არცერთი მოსწვლის მიმართ.

„ვეიპისა“ და „სნუსის“ მოხმარების ფაქტთან დაკავშირებით, სკოლა საკუთარ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითებს, რომ აღნიშნულ გადაცდომას შეესწრო დაწესებულების არაერთი თანამშრომელი, რის საფუძველზეც განხორციელდა მათი გამოკითხვა. ადმინისტრაციის განმარტებით, ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი დღით, სკოლას არ ჰქონდა საკმარისი დროებითი რესურსი ზეპირსიტყვიერი ფორმით მიღებული ინფორმაციის მყისიერი დოკუმენტირებისა და რეაგირებისთვის. თუმცა, ორგანიზაცია ხაზს უსვამს, რომ შესაბამისი მითითებები თავიდანვე აისახა მათ მიერ წარმოდგენილ დისციპლინური მოკვლევის ანგარიშში, ხოლო მიმდინარე ეტაპზე მტკიცებულებებს წერილობითი სახით ერთვის მოწმეთა მოხსენებითი ბარათები.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ არგუმენტაციას, თუმცა მოკლებულია შესაძლებლობას გაიზიაროს სკოლის პოზიცია მტკიცებულებათა პოსტფაქტუმ დოკუმენტირებასთან დაკავშირებით. დისციპლინური წარმოება მოითხოვს, რომ გადაცდომის იდენტიფიცირება, ფაქტობრივი გარემოებების მოკვლევა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება განხორციელდეს უშუალოდ დისციპლინური გადაცდომის გამოვლენისას.

ექსპერტთა ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გატარდა მოსწავლის ქცევის კორექციისკენ მიმართული ბევრი პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიება. აღნიშნული საკითხი აღწერილია დასკვნაში, სკოლის მიერ წარმოდგენილია ჰაუსმასტერის ანგარიშები, სამოქმედო გეგმები და აქტივობების ჩამონათვალი.
რაც შეეხება ფსიქოლოგთან გადამისამართების საკითხს, აღნიშნული გარემოება თავდაპირველად ფიქსირდებოდა განმცხადებელთა საჩივარში. გარდა ამისა, 2025 წლის 22 დეკემბრის სხდომის ოქმის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მშობლები საკუთარ განცხადებაში თავადვე უსვამდნენ ხაზს მოსწავლის მხრიდან ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროებაზე და გამოხატავდნენ სრულ მზაობას სკოლასთან აქტიური თანამშრომლობისთვის. ვიზიტის მსვლელობისას, სკოლის დირექციამ გამოთქვა ვარაუდი, რომ მოსწავლის ქცევითი დარღვევები შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო ერთ-ერთი მშობლის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრების ეტაპზე აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან ამოწურული იყო მოსწავლის ქცევის გაუმჯობესებისკენ მიმართული ყველა ბერკეტი. ასევე, აღნიშნეს, რომ ფსიქოლოგთან გადამისამართება, როგორც ერთ-ერთი ალტერნატიული გზა, მშობლებისა და მოსწავლისათვის შეთავაზებული არ ყოფილა.

23.1. მუხლთან დაკავშირებით წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის ხედვა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, გაუგებრობის თავიდან აცილებისა და სამართლებრივი სიცხადისთვის, უმჯობესი იქნება

მომავალში სკოლამ საჭიროების შემთხვევაში ოქმში კუმულაციურად მიუთითოს შინაგანაწესის ის კონკრეტული მუხლები, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება შინაარსობრივი ტექსტი.

დისციპლინურ სახდელებთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და განმარტა, რომ სახდელის შეფარდება ხდება ინდივიდუალური მიდგომით, კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულების განმარტებით, წინასწარ და ამომწურავად ყველა შესაძლო გადაცდომისა და მათი შესაბამისი სახდელების იდენტიფიცირება შეუძლებელია.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან შესაძლებელია ვერ განხორციელდეს ყველა პოტენციური გადაცდომის წინასწარ განსაზღვრა, თუმცა შესაძლებელია სკოლის ყოველდღიური პრაქტიკიდან გამომდინარე, მკაფიოდ იდენტიფიცირდეს ის ინციდენტები და გადაცდომები, რომლებიც ხშირად მეორდება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, შინაგანაწესში გადაცდომებისა და შესაბამისი სახდელების განსაზღვრა მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დისციპლინური წარმოება უნდა ეფუძნებოდეს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპებს. კონკრეტულ გადაცდომაზე კონკრეტული სახდელის წინასწარ განსაზღვრა გამორიცხავს სკოლის დირექციის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებისას სუბიექტურობას, ემოციურ ფონზე მოქმედებას ან დისკრიმინაციულ მიდგომებს.

ჰაუსური მინუს/პლიუს ქულების დაწერასთან დაკავშირებით, სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითებს, რომ მასწავლებელის მიერ სახდელის დაწესებაზე ექსპერთა შეფასება გადაჭარბებულია.

სკოლის შინაგანაწესის 24.2 პუნქტით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელის სახეები. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების მიზანია „მინუს ქულების“ სისტემა სამუშაო პროცესში გამოიყენოს ყველა თანამშრომელმა, მოსწავლეთა წახალისების/სანქციების თვალსაზრისით, აღნიშნული ჩანაწერი შინაგანაწესში სხვაგვარ სამართლებრივ ფორმულირებას საჭიროებს.

მოქმედი რედაქციით, „მინუს ქულის“ გამოყენება მიჩნეულია დისციპლინურ სახდელად, რომლის შეფარდების ექსკლუზიური უფლებამოსილებაც მინიჭებული აქვს მხოლოდ დირექციას. შესაბამისად, მასწავლებელი არ წარმოადგენს ამ სახდელის გამოყენებაზე უფლებამოსილ სუბიექტს და შინაგანაწესის არსებული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის პრაქტიკასთან.

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ,,დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით. “ აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლამ თავად უნდა განსაზღვროს დისციპლინური დევნის პროცედურა, დისციპლინური წარმოების დაწყების და დასრულების ვადა, დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა, გადაცდომათა ერთობლიობის

დროს მოქმედი რეგულაციები, დისციპლინური სახდელი ვადაზე ადრე მოხსნის საკითხები და სხვა. სკოლის შინაგანაწესის ძველი და მოქმედი რეგუალციებით არ დგინდება სკოლაში დისციპლინური წარმოების სრულყოფილი მექანიზმის არსებობა, რომელიც იქნება გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ინდიკატორებთან 4.1.1.1 და 4.1.1.2 მიმართებით დარჩა უცვლელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
3. დისციპლინური მოკვლევის ანგარიში;
4. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
5. განცხადება;
6. მოსწავლის ფსიქოლოგთან და/ან სხვა სპეციალისტთან გადამისამართების გზამკვლევი;
7. თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის მემორანდუმი;
8. მედიაციის მარეგულირებელი წესი;
9. სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი;
10. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ოქმი;
11. უსაფრთხოების წესი;
12. გასაუბრებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამებ

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 08.07.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: